დანართი B

სტატისტიკური ცხრილები

და

განმარტებები მათ შევსებასთან დაკავშირებით,
კონვენციის 27-ე და 28-ე მუხლების
მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით

შესავალი

კონვენციის 27-ე და 28-ე მუხლების შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა შეაგროვოს კონვენციით გათვალისწინებული პროცედურების გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია და მიაწოდოს იგი ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც გამოაქვეყნებს მიღებულ ინფორმაციას.

ინფორმაციის შეგროვებისთვის გამოყენებულ მეთოდს ირჩევს თვითონ მხარე და რათქმა უნდა შესაძლებელია შეგროოვდეს ნებისმიერი დამატებითი სტატისტიკური ინფორმაცია ეროვნული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. თუმცა, გენერალური მდივნის სამუშოს ხელშეკრულებაეწყობის მიზნით, მისთვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს შედარებითი და შეესაბამებოდეს თანდართულ ცხრილებს. მონაცემების შეგროვება უნდა მოხდეს ყოველ კალენდარულ წელს.

ზოგადი ნაწილი

აღირიცხება ცხოველები რომელთაც გამოყენების შედეგად შესაძოა განიცადონ ტკივილი, დისტრესი ან მიადგეთ ხანგრძლივი ზიანი (იხ. კონვენციის მუხლი 1.2.გ). ცხოველების დათვლა ხდება მაშინ, როდესაც ისინი გამოიყენებიან პროცედურისთვის. თითოეული ცხოველი ითვლება ერთხელ მხოლოდ ერთიდაიმავე ცხრილში. წინამდებარე კონვენციის კონტექსტში სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების მიზნით არ მოხდება იმ ცხოველების დათვლა, რომლებიც არ ექვემდებარებიან პროცედურებში გამოყენებას 1.2.გ მუხლის თანახმად.

თვითონ ბიოლოგიური კვლევების ხასიათიდან გამომდინარე გარდაუვალია ისეთი გარემოებების წარმოშობა, როდესაც რთულია გადაწყვიტო თუ ცხრილის რომელ სვეტში უნდა აღირიცხოს პროცედურაში გამოყენებული ცხოველი. არ არსებობს პრობლემის გადაწყვეტის სწორი ან არასწორი გზა, გარდა ინდივიდუალური არჩევანის გაკეთებსა. იმ მითითებების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება მიაწოდონ კომპეტენტურმა ორგანოებმა, მეცნიერმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს თუ სად აღრიცხოს მოცემული ცხოველი.

თუმცა, მნიშნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ არ მოხდეს ცხოველის ორჯერ აღრიცხვა ერთიდაიმავე ცხრილში.

ცხრილი 1

პროცედურებში გამოყენებული ცხოველების რაოდენობა და ტიპი

მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი იქნება პროცედურებში გამოყენებული ცხოველების საერთო რაოდენობა და იგი დაყოფილია ცხოველების ტიპების და კლასების მიხედვით.

ცხრილი 2

შერჩეული მიზნებისთვის პროცედურებში გამოყენებული ცხოველების რაოდენობა

მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფართო მასშტაბით გამოყენებული ცხოველების რაოდენობა, რაც მოიცავს ფუნდამენტურ კვლევებს, ახალი პროდუქტების შემუშავებას, უსაფრთხოების შეფასებას, დაავადების დიაგნოსტიკას და განათლებასა და სწავლებას. პირველი სვეტი „სამედიცინო“ გულისხმობს ვეტერინარულ მედიცინასაც.

ცხრილი 3

ტოქსიკოლოგიური ან უსაფრთხოების სხვაგვარი შეფასებების საშუალებით ადამიანების, ცხოველებისა და გარემოს დაცვისთვის შერჩეულ პროცედურებში გამოყენებული ცხოველების რაოდენობა

წინამდებარე ცხრილი განკუთვნილია იმისთვის, რომ წარმოადგინოს სამედიცინო მიზნების გარდა ადამიანის, ცხოველებისა და გარემოს ზოგადი დაცვისთვის ჩატარებული პროცედურების უფრო დეტალური კლასიფიკაცია. მე-6 სვეტი მოიცავს საზიანო რადიაციას.

ცხრილი 4

დაავადებებთან დაკავშირებით პროცედურებში გამოყენებული ცხოველების რაოდენობა

მოცემული ცხრილი განკუთვნილია სამედიცინო მიზნებისთვის (ვეტერინარული მედიცინის ჩათვლით) გამოყენებული ცხოველების რაოდენობის წარმოსადგენად, განსაკუთრებული საზოგადოებრივი დაინტერესების მქონე ადამიანთა დაავადებების სამ სფეროზე სპეციფიური მითითებით.

ცხრილი 5

კანონით მოთხოვნილ პროცედურებში გამოყენებული ცხოველების რაოდენობა

სვეტში „მხოლოდ მხარე“ მონაცემების შეყვანა უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც პროცედურა მოთხოვნილია იმ მხარის კანონმდებლობით, სადაც ტარდება თვითონ პროცედურა და ეს მოიცავს საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლებშიც ჩართულია მხარე (მაგალითად, როგორც ევროპული ფარკოპეის შემუშავების კონვენციის მხარე ან ევროპის თანამეგობრობის წევრი-ქვეყანა).

სვეტში „მხოლოდ სხვა მხარე“ მონაცემების შეყვანა უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც პროცედურის მიზანია განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილება, სავაჭრო მოთხოვნების ჩათვლით მხარის გარდა სხვა ქვეყნებში, რაც მოიცავს იმ კონვენციების მოთხოვნებს, რომლებშიც არ არ8ის ჩართული ეს უკანასკნელი.

„ორივე“ გამოიყენება მაშინ, როდესაც პროცედურა განკუთვნილია ორივე ჯგუფის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; ამ შემთხვევაში დანარჩენ ორ სვეტში არ ხდება მონაცემების შეყვანა.

ცხრილი 1

(წელი) განმავლობაში (მხარე)-*ში პროცედურებში გამოყენებული ცხოველების რაოდენობა და ტიპი*

თაგვები *(Mus musculus)*	
ვირთაგვები *(Rattus norvegicus)*	
ზღვის გოჭები *(Cavia porcellus)*	
სხვა მღრღნელები *(other Rodentia)*	
კურდღლები *(Oryctolagus cuniculus)*	
ადამიანისმსგავსი მაიმუნები *(Hominoidea)*	
სხვა სახის მაიმუნები *(Cercopithecoidea & Ceboidea)*	
ნახევრად მაიმუნები *(Prosimia)*	
ძაღლები *(Canis familiaris)*	
კატები *(Felis catus)*	
სხვა მტაცებლები *(სხვა Carnivora)*	
ცხენები, ვირები და ნაჯვარები *(Equidae)*	
ღორები *(Sus)*	
თხები და ცხვრები *(Capra & Ovis)*	
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი *(Bos)*	
სხვა ძუძუმწოვრები *(სხვა Mammalia)*	
ფრინველები *(Aves)*	
რეპტილიები *(Reptilia)*	
ამფიბიები *(Amphibia)*	
თევზები *(Pisces)*	
სულ	

ცხრილი 2

შერჩეული მიზნებისთვის პროცედურებში გამოყენებული ცხოველების რაოდენობა (წელი) განმავლობაში (მხარე)-*ში*

	ყველა სახეობა	შერჩეული სახეობები		
		მღრღნელები და კურდღლები	ძაღლები და კატები	პრიმატები
1 ფუნდამენტური ბიოლოგიური კვლევები (სამედიცინო კვლევების ჩათვლით)				
2 ადამიანის ან ვეტერინარული მედიცინისთვის პროდუქტების ან მოწყობილობების აღმოჩენა, შემუშავება და ხარისხის კონტროლი (უსაფრთხოების შეფასების ჩათვლით)				
3 დააავადების დიაგნოსტიკა				
4 ტოქსიკოლოგიური ან უსაფრთხოების სხვაგვარი შეფასებების საშუალებით ადამიანების, ცხოველებისა და გარემოს დაცვა				
5 განათლება და სწავლება				

ცხრილი 3

ტოქსიკოლოგიური ან უსაფრთხოების სხვაგვარი შეფასებების საშუალებით ადამიანების, ცხოველებისა და გარემოს დაცვისთვის შერჩეულ პროცედურებში გამოყენებული ცხოველების რაოდენობა
(წელი) განმავლობაში (მხარე)-ში

#2 ცხრილის მე-4 პუნქტის შემდგომი კლასიფიკაცია	ყველა სახეობა	შერჩეული სახეობები		
		მღრღნელები და კურდღლები	ძაღლები და კატები	პრიმატები
1 ძირითადად სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ან გამოყენებისთვის განკუთვნილი ნივთიერებები				
2 ძირითადად მრეწველობაში გამოყენებული ან გამოყენებისთვის განკუთვნილი ნივთიერებები				
3 ძირითადად საყოფაცხოვრებო საქმიანობაში გამოყენებული ან გამოყენებისთვის განკუთვნილი ნივთიერებები				
4 ძირითადად კოსმეტიკაში ან სანიტარულ-ჰიგიენური მიზნით გამოყენებული ან გამოყენებისთვის განკუთვნილი ნივთიერებები				
5 ადამიანებისთვის განკუთვნილი საკვებისთვის დანამატების სახით გამოყენებული ან გამოყენებისთვის განკუთვნილი ნივთიერებები				
6 დამაბინძურებლების პოტენციური ან ფაქტობრივი საფრთხეები ზოგადად გარემოში				

ცხრილი 4

დაავადებებთან დაკავშირებით პროცედურებში გამოყენებული ცხოველების რაოდენობა (წელი)განმავლობაში (მხარე)-ში

		ყველა სახეობა	შერჩეული სახეობები		
			მღრღნელები და კურდღლები	ძაღლები და კატები	პრიმატები
	1 კიბო (კარცინოგენური საფრთხეების შეფასების გარდა)				
	2 გულსისხლძარღვთა დაავადებები				
	3 ნერვული და ფსიქიური დაავადებები				
	4 ადამიანებისა და ცხოველების სხვა დაავადებები				

შენიშვნა: როდესაც პროცედურა ეხება კიბოს 2-დან 4-მდე ნებისმიერი პუნქტის შესაბამისად, უპირატესობა ენიჭება კიბოს კლასიფიკაციას.

ცხრილი 5

კანონით მოთხოვნილ პროცედურებში გამოყენებული ცხოველების რაოდენობა (წელი) განმავლობაში (მხარე)-*ში*

	ყველა სახეობა	შერჩეული სახეობები		
		მღრღნელები და კურდღლები	ძაღლები და კატები	პრიმატები
მხოლოდ მხარე				
მხოლოდ სხვა მხარეები				
ორივე				